

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
კათედრის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სამეცნიერო
ლიტერატურის დამოწმების წესები

1. წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:

ავტორის ინიციალი. გვარი, *წიგნის სათაური*, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი,
გამოცემის წელი.

მაგალითად:

რ. ჭიკაძე, *წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში*, თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995.

2. წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:

ავტორის ინიციალი. გვარი, ავტორის ინიციალი. გვარი, *წიგნის სათაური*, გამომცემლობა,
გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ა. სპარსიაშვილი, ნ. სოზაშვილი, *ქართული მწერლობის ფოლკლორულ-რელიგიური
საფუძვლები*, ცოდნა, თბილისი, 2007.

3. წიგნი, რომელსაც მთარგმნელი ჰყავს:

ავტორის ინიციალი. გვარი, *წიგნის სათაური* (მთარგმნელის ინიციალი, გვარი),
გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

პ. ბერკი, *ისტორია და სოციალური თეორია*, (მთარგმნელი ნ. ლადარია), ლოგოს პრესი,
თბილისი, 2002.

4. წიგნი, რომელსაც მთარგმნელები ჰყავს:

ავტორის (ან ავტორების) ინიციალი, გვარი, *წიგნის სათაური* (მთარგმნელის ინიციალი, გვარი), გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ბ. ცარახოვა, ნ. ჩხიკვაძე, *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში* (მთარგმნელები: გ. ჭელიძე, მ. მამაცაშვილი), ჯისიაი, თბილისი, 2004.

5. წიგნი, რომლის ავტორიც კვლევითი ცენტრია:

კვლევითი ცენტრის სახელი, *წიგნის სათაური*, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, *ქართული დიპლომატიის ისტორია*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

6. წიგნი, რომელიც ხელახლა გამოიცა:

ავტორის ინიციალი, გვარი, *წიგნის სათაური*, მერამდენე გამოცემა, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ი. კვაჭაძე, *ადამიანის ფიზიოლოგია*, მე-2 გამოცემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.

7. სტატია, ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან მეტი ავტორი ჰყავს:

სტატიის ავტორის ინიციალი, გვარი, სტატიის ან თავის სათაური, *კრებულის ან წიგნის დასახელება*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდები.

მაგალითად:

ნ. ლადარაია, " რელიგიური შემწყნარებლობის იდეა ქრისტიანულ ევროპაში", *რელიგია, საზოგადოება და სახელმწიფო*, ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, გვ. 33–68.

8. მრავალტომიანი ნაშრომი:

ავტორის ინიციალი. გვარი, *წიგნის სათაური*, ტომი, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

შ. ნუცუბიძე, *რუსთაველის შემოქმედება*, ტ. II, მეცნიერება, თბილისი, 1980.

9. ლექსიკონი:

წიგნის სათაური: გამომცემელი, მერამდენე გამოცემა, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, მე-2 გამოცემა, ლოგოს პრესი, თბილისი, 1986.

10. სტატია სამეცნიერო ჟურნალიდან:

ავტორის ინიციალი, გვარი, „*სტატიის სათაური*“, *ჟურნალის სახელი*, ტომის ნომერი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, გვერდები.

მაგალითად:

გ. გოცირიძე, ისტორიისა და მის შუქზე ადამიანის დანიშნულების საკითხი ჰეგელთან“, *თესაუ სამეცნიერო შრომების კრებული*, №2 (20), თელავი, 2006, გვ. 115–117.

11. დისერტაცია და ავტორეფერატი

ავტორის ინიციალი. გვარი, *დისერტაციის სათაური*, დისერტაცია ამა და ამ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი.

მაგალითად:

ლ. წულაძე, *სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები)*, საკანდიდატო დისერტაცია სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003.

12. სტატია გაზეთიდან:

ავტორის ინიციალი. გვარი, სტატიის სათაური: „*გაზეთის სახელი*“ (გამოცემის წელი, რიცხვი და თვე), გვერდი (გვერდები).

მაგალითად:

ლ. ჯელიძე, 300 ეპიტაფიით გამოხატული სისადავე: „*განათლება*“ (2007, 20–27 დეკემბერი), გვ. 5.

13. ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალა:

ავტორის ინიციალი. გვარი, სათაური, სალექციო კურსი, უნივერსიტეტი, საუნივერსიტეტო ქალაქი, მასალის მომზადების წელი.

მაგალითად:

თ. ზურაბიშვილი, თ. ზურაბიშვილი, *სოციოლოგიის შესავალი*, სალექციო კურსი, თესაუ, თელავი, 2001.

14. სამთავრობო დოკუმენტი:

დოკუმენტის სათაური: სამინისტროს თუ უწყების სახელწოდება, გამომცემლობა, გამომცემის ადგილი, გამომცემის წელი.

მაგალითად:

სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების კრებული: სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2004.

15. მასალა ინტერნეტიდან

ვებ-გვერდის მფლობელი (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი, თუ მითითებულია), მასალის სათაური. ინტერნეტ-მისამართი (მასალის ინტერნეტში მოძიების თარიღი).

მაგალითად:

განათლებისა და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (2007), 2007–2008 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

<http://www.nea.ge/default.sec id=50&lamng=1>(მოძიებულია 19.II.2008 წ.).

16. საგაზეთო სტატია ინტერნეტიდან:

ავტორის ინიციალი, გვარი (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი), სტატიის სათაური. „გაზეთის სათაური“.

ინტერნეტ-მისამართი. (მასალის ინტერნეტში მოძიების თარიღი)

მაგალითად:

ნ. ალექსიძე (2008, 5 მარტი), „სტანდრტ ბანკს“ არაბები არავის დაუთმობენ: „რეზონანსი“.

<http://www.opentext.org.ge/08/resonance/060/060-2.htm>. (მოძიებულია 31.III .2008წ).